სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №2/41

ქ. თბილისი

5 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ (შემდგომში _ „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ლაშა შენგელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „გლორია“ LLC"**GLORIA**", შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი გენერალური მენეჯერი მურატ ტანსუს სახით, ვმოქმედებთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“-ს მიერ რესტორნებისა და კვების საწარმოს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV55300000).

2.2. შესყიდვის ობიექტია, კომპანიის სქაი ტელეკომის („SkyTelecom”) წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელის მიერ რესტორნისა და კვების მომსახურების გაწევა შემსყიდველის წარმომადგენლებისა და მოწვეული სტუმრებისთვის (ჯამში 6 პერსონისთვის), თავის მმართველობაში არსებულ რესტორანში - “ტიფლისი ვერანდა“.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს 301,73 (სამას ერთი ლარი და 73 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარესტორნო მომსახურების ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების გაწევის დღისთვის მიმწოდებლის მიერ სტანდარტულად დადგენილი სარესტორნო ფასების შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2016 წლის 5 სექტემბერს.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, გორგასლის ქ#3, რესტორანი - „ტიფლისი ვერანდა“.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობებისა და დადგენილი სტანდარტების/წესების შესაბამისად;

5.1.2. მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს მისაწოდებელი კერძების და კვების პროდუქტების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან, უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი;

5.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის ხელშეწყობა;

5.2.2. უზრუნველყოს ყოველი კონკრეტული შეკვეთის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ინსპექტირებისას აღმოჩენილ ხარვეზზე წარმოუდგინოს მომწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია.

6.2. შემსყიდველის მიერ განხორციელებლმა ინსპექტირებამ არ უნდა ხელყოს მიმწოდებლის ჩვეული ბიზნეს პროცესი.

6.3. **შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"-ს პროექტების მენეჯერი.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, ხელშეკრულებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. დაფინანსების წყარო: **საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"-სთვის გამოყოფილი ასიგნება.**

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შესმყიდველს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეთა ურთერთშეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე **ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“	შპს „გლორია“ **LLC "GLORIA"**
მის.: ქ. თბილისი, ბამბის რიგის ქ. #7,	მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. #3
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახელმწიფო ხაზინა, ბ.კ. TRESGE22	სს აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო,
ა/ა № GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი: **IBAZGE22**
საიდენტიფიკაციო კოდი: 204990082	ა/ა # **GE77AZ0036800000044801**
	საიდენტიფიკაციო კოდი: **404 379 338**
ლაშა შენგელია დირექტორის მოადგილე	მურატ ტანსუ გენერალური მენეჯერი